20.12.2024

ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში

2024 წლის ნოემბერი

ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი **წინა თვესთან შედარებით** 0.6 პროცენტით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ფასების 2.2 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა ელექტროენერგიის, აირის, ორთქლისა და კონდიცირებული ჰაერის ჯგუფზე.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი 4.5 პროცენტით გაიზარდა. სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების ჯგუფზე ფასები 10.1 პროცენტით გაიზარდა, დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე 2.2 პროცენტით, ელექტროენერგიის, აირის, ორთქლისა და კონდიცირებული ჰაერის ჯგუფზე 13.1 პროცენტით, ხოლო წყალმომარაგების, კანალიზაციის, ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით მომსახურების ჯგუფზე დაფიქსირდა ფასების 9.2 პროცენტიანი ზრდა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2024 წლის ნოემბერში ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2023 წლის ნოემბერთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	**104.5**	**4.55**
B	**სამთო-მოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება**	**110.1**	**0.26**
C	**დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია**	**102.2**	**1.71**
23	სხვა არალითონური მინერალური პროდუქტები	109.1	1.12
D	**ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და კონდიცირებული ჰაერი**	**113.1**	**2.27**
E	**წყალმომარაგება, კანალიზაცია, მომსახურება ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით**	**109.2**	**0.31**

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

20.12.2024

ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი

(წინა წლის შესაბამისი თვე =100)



საკონტაქტო პირი:

გიორგი თეთრაული, ტელ: (+995 32) 236 72 10 (400). E-mail: gtetrauli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge